ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4747430

ნომერი: AR1713388

თარიღი : 17.10.2019

გაცემის თარიღი : 12.11.2019

გაცნობის თარიღი : 12.11.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ნუცუბიძე , მიკრო/რაიონი IV;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ბენდელიანი პ/ნ 01001029584
- თბილისი გლდანი IIIა მ/რ კორ. 17 ბ. 52

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 27 სექტემბრის №4689742 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის 17 ოქტომბერს №AR1713388 განცხადებით მომართა გიორგი ბენდელიანმა და მოითხოვა სამსახურის 2019 წლის 27

სექტემბრის №4689742 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 27 სექტემბრის №4689742 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ნუცუბიძის ქუჩა, IV მიკრო/რაიონი, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.14.01.001.145), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი.

სამსახურის 2019 წლის 16 ოქტომბრის №4712250 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2019 წლის 16 ოქტომბრიდან 2022 წლის 16 ოქტომბრის ჩათვლით.

განმცხადებლის განმარტების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 27 სექტემბრის №4689742 ბრძანებით შეთანხმებულ გეგმებზე ფართების მითითებასთან დაკავშირებით დაშვებულია ტექნიკური შეცდომა და შესაბამისად, ითხოვს აღნიშნულის შესწორებას, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილია შესწორებული გეგმები.

სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შესწორებული გეგმები შეადარა შეთანხმებულ გეგმა - ნახაზებს და დაადგინა, რომ შეთანხმებულ გეგმებზე საცხოვრებელი და საზაფხულო ფართობები ტექნიკური შეცდომის შედეგად დაფიქსირებულია არასწორად.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.

ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 27 სექტემბრის №4689742 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 27 სექტემბრის №4689742 ბრძანებაში და აღნიშნული ბრძანებით შეთანხმებული გეგმები ჩანაცვლდეს 2019 წლის 17 ოქტომბრის №AR1713388 განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი გეგმებით.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 27 სექტემბრის №4689742 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 27 სექტემბრის №4689742 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.